დანართი N1
თარიღი:15.09.2022

სამუშაო აღწერა

თანამდებობა: რუსულის მასწავლებელი
პროგრამა: სკოლამდელი აღზრდის ცენტრი (ბაღი)
სტრუქტურული ერთეული: სკოლამდელი აღზრდის ცენტრი (ბაღი)
დაქვემდებარება: სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (ბაღი) მენეჯერი
სამუშაო პირობები:

- ოფისი
- ოფიციალური სამუშაო კვირა არის სტანდარტული - კვირაში ხუთი დღე

სამუშაო საათები: 09:45-17:00
სამუშაო დღეები: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით
სამუშაო ადგილი: ქ. თბილისი, ,,ევროპული სკოლა", ი. სხირტლაძის ქ. №2

თანამდებობის მიზანი: აღსაზრდელებისთვის რუსული ენის სწავლება, მათი სმენისა და ვერბალური კულტურის განვითარებაზე ზრუნვა.

ფუნქცია-მოვალეობები:

სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ოფიციალური სასწავლო პროგრამის მიხედვით საგაკვეთილო პროცესის წარმოება;

- აღსაზრდელებისთვის რუსული ენის განათლების მიწოდება;
- ჯგუფური და საჭიროებისამებრ, ინდივიდუალური მეცადინეობების ჩატარება;
- თანამედროვე კლასგარეშე რესურსებით აღსაზრდელების უზრუნველყოფა მათი სრულყოფილი განვითარების მიზნით;
- აღსაზრდელების მშობლებთან კომუნიკაცია ინფორმაციის მიწოდების მიზნით და საჭიროებისამებრ, კონსულტაციების გაცემა;
- აღზრდის ცენტრის საზეიმო ღონისძიებებში მონაწლეობის მიღება; კონცერტებისთვის და ღონისძიებებისთვის ნომრებისა და ჯგუფების მომზადება;
- საჭიროებისამებრ ანგარიშების წარდგენა სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მენეჯერისთვის;
- ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი ყოველწლიური ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
- კომპტენეციის ფარგლებში აღსაზრდელების უსაფრთხოებაზე ზრუნვა;
- კომპტენეციის ფარგლებში უშუალო უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება

- უმაღლესი განათლება ინგლისური ენისა და ლიტერატურის მიმართულებით;

გამოცდილება

- სკოლამდელი ან სასკოლო დაწესებულებაში მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება;

ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები:

- მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;
- ბავშვის უფლებათა კონვენცია;

- ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტი;
- სასურველია დამატებითი უცხო ენის ცოდნა.

კომპიუტერული პროგრამები:

- Microsoft Office;

პიროვნული თვისებები:

- პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელურობა;
- კეთილგანწყობილობა;
- ყურადღებიანობა;
- დაკვირვებულობა.